

A+

BY NIGHT



კატალოგი - ჟურნალი N1 **ღამით**
Catalog-magazin N1

BY NIGHT



Konstantine Kakabadze Beso Lezhava

კონსტანტინე კაკაბაძე ბესო ლეჟავა

Eto Davitashvili

ეთო დავითაშვილი

Andria Dolidze

ანდრია დოლიძე

Elene Tsertsvadze Giorgi Chinchaladze

ელენე ცერცვაძე გიორგი ჩინჩალაძე

რედაქტორის სვეტი

თუ, ერთხელ მაინც გიგრძენია სტუდენტური ცხოვრების "სიმსუბუქე" სამხატვრო აკადემიის კედლებში და შემდგომ "ბედის ირონიით" შენი საქმიანობა ისევე ამ სივრცეს დაუკავშირდა, ერთ მზიან დღეს მიხვდები, როგორ გაგიმართლა. მიხვდები, რა ბედნიერებაა, იყო მუდმივი თანამონაწილე იმ შემოქმედებითი პროცესის, სადაც ახალგაზრდული მაქსიმალიზმი თავისი "უპოვარი" ენთუზიაზმით ყველა სიძნელეს გადალახავს და როგორც ოლმპიური თამაშების რეკორდსმენი მომავალი შეჯიბრების მოლოდინში, ახალი წარმატების მოპოვების ჟინით ივსები შემოქმედებითი სწავლების ეს მიმართება არა მარტო სასწავლო პროცესის მნიშვნელობას, არამედ ამ პროცესის შეუდარებელ მშვენიერებას გაგრძნობინებს. ახლა რაც შეეხება პროექტს "By night". კონცეპტუალური ათლარიანის "დაგემოვნების" სურვილი, ხალხურ აფორიზმთან მიმართებაში – "ფული ყველაფერია", – ხელოვნების უკვდავ ძალაზე დაგაფიქრებს. (ბესო ლეჟავა, კონსტანტინე კაკაბაძე, პროექტი: "ფული ყველაფერია"?)
 თუ დაიღალე ყველაფერი "დახვეწილისაგან", ხმამაღლა გაიხსენე ფაშიზმი. რენტგენის ფაილზე გამჟღავნებული ვიდეოპროექცია

თანამედროვე მხატვრის არტისტული ქმედების ფუნქციურ რაობაზე მიგითითებს. (ეთო დავითაშვილი, პროექტი: ფაშიზმი – რომელმაც კაცობრიობაზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა). არასწორი არქიტექტურის სივრცობრივი დამახინჯების პრობლემა კონტექსტით მანიპულირების სურვილს აღძრავს. სადაც არქიტექტურული ალუზიებით გაჯერებული ექსპერიმენტი კრეატიული სივრცის შექმნის სურვილით სრულდება. (ელენე ცერცვაძე, გიორგი ჩინჩალაძე, პროექტი: არქიტექტურა, რომელიც არ ითვალისწინებს გარემოსა და ლანდშაფტს, – არღვებს ჩვენ ინტერესებს).
 ყოფიერების განცდის მედიტაციურ-კრეატიული იმპულსები საკუთარ თავთან დიალოგს ცდილობს. სადაც არტისტული თოქშოუს ხელოვნებად ქცევის მცდელობა სამყაროსთან მუდმივი დიალოგის შეთანხმების აქტით მანიფესტირდება (ანდრია დოლიძე, პროექტი: დიალოგი).

ნინო გუჯაბიძე

Editor's colums

If you ever felt the students life's "lightness" within the walls of the Tbilisi State Academy of Arts and after, as a matter of the "irony of fate" your activity has again become linked up with this space, once upon a sunny day, you'll discover that the fortune smiled upon you. You'll find out what an overwhelming happiness you are experiencing while being the permanent partaker of the creative process, where the youth maximalism with its "persistent" enthusiasm overcomes all the obstacles. You, as the Olympic games record-holder is watching for the future sports contest, being overflowed with the drive to achieve success. This kind of approach to the creative teaching provides you not only the sense of significance of the studies process, but also its incomparable delight. Now, as regards the project By Night. The desire to "taste" the conceptual 10 GEL banknote, while considering the aphorism "The money is All-in-all?!" makes us think of the immortal power of the Art. **(Beso Lejava, Konstantine Kakabadze, project: Money is All-in-all?!)**
 If you are tired out of all "perfect", please, remember loudly the Fascism, the video projection exposed onto the X-ray file, that indicates to the functional being of the contemporary artist's artistic action **(Eto Davitashvili, project: Fascism, that left a great footprint on the humankind....)**

The problem of spatial distortion by an improper architecture – evokes the desire to manipulate with context, where the experiment, saturated with architectural allusions, is completed with a desire to compose the creative space **(Elene Tsertsvadze, George Chinchaladze, project: Architecture, taking no account of an environment and a landscape, blemishes our interests).**
 The meditational-creative impulses of perceiving the existence, make attempts to communicate in a dialog with itself, where the attempt of transforming the artistic tock show into the art is manifested with an act of agreeing for having constant dialog (Andria Dolidze, project: Dialog).

Nino Gujabidze



1800 მმ x 60000 გრ
1800 mm x 60000 grams

1870 მმ x 74000 გრ
1870 mm x 74000 grams

Beso Lejava

ბესო ლეჟავა

Konstantine Kakabadze

კონსტანტინე კაკაბაძე




ბესო ლეჟავა არქიტექტურის, მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი
კონსტანტინე კაკაბაძე, სახვითი ხელოვნების, ფერწერის სპეციალობის,
მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი

ფული ყველაფერია?!
თითოეული ჩვენთაგანი დამოკიდებულია ფულზე. იგი მოიცავს ყველა სფეროს,
ხელოვნებიდან დაწყებული ადამიანური ურთიერთობების ჩათვლით.

Beso Lejava, I year Master's degree student of the Faculty of Architecture
Konstantine Kakabadze, I year Master's degree student of the specialty of Painting,
Faculty of Visual Arts

Money is All-in-all?!
Any one is reliant on money, it comprises all the spheres, starting from art and including
the human relations.



1640 მმ x 56000 გრ
1640 mm x 56000 grams

Eto Davitashvili

ეთო დავითაშვილი




ეთო დავითაშვილი, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის,
ფერწერის სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული

ფაშიზმი - რომელმაც კაცობრიობაზე მნიშვნელოვანი
კვალი დატოვა...

Eto Davitashvili, I year Master's degree student of the specialty
of Painting, Faculty of Visual Arts


Fascism, that left a great footprint on the humankind...



1800 მმ x 64000 გრ
1800 mm x 64000 grams

Andria Dolidze

ანდრია დოლიძე



ანდრია დოლიძე, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ფერწერის სპეციალობის, მაგისტრატურის კურსის სტუდენტი.

დიალოგი მარტო მონაცვლეობით საუბარს, რეპლიკების ერთობლიობას, ჟესტებს, მიმიკებს არ მოიცავს. დიალოგი მუდმივი პროცესია: ურთიერთობა სამყაროსთან...

Andria Dolidze, 1 year Master's degree student of the specialty of Painting, Faculty of Visual Arts

A dialog doesn't comprise only speaking alternately, or the whole of retorts, gestures, mimics. The dialog is ceaseless process, it's the interaction with the world....




1640 მმ x 56000 გრ
1640 mm x 56000 grams

Elene Tsertsvadze

ელენე ცერცვაძე

Giorgi Chinchaladze

გიორგი ჩინჩალაძე



ელენე ცერცვაძე, არქიტექტურის ფაკულტეტის, მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი
გიორგი ჩინჩალაძე, არქიტექტურის ფაკულტეტის, მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი

არქიტექტურა, რომელიც არ ითვალისწინებს გარემოსა და ლანდშაფტს – არღვევს ჩვენს ინტერესებს. არასწორი არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას სივრცის დამახინჯება წარმოადგენს, რაც ცნობიერ საზოგადოებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ეს პრობლემა ხშირად თავს იჩენს თბილისის არქიტექტურაში, განსაკუთრებით საცხოვრებელ უბნებში, არასწორი ჩარევის შემთხვევაში კი ისტორიულ ზონებშიც. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ამ პრობლემის შედეგად შექმნილი სივრცის იმიტაცია. სივრცე, რომელშიც თავს შებოჭილად და არაკომფორტულად ვგრძნობთ. პრობლემა, რომელიც რეალურად ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას სივრცეში.

Elene Tsertsvadze I year Master's degree student of the Faculty of Architecture
George Chinchaladze I year Master's degree student of the Faculty of Architecture

Architecture, taking no account of an environment and a landscape, blemishes our interests. One of the main important problems of the improper architecture is distortion of space, that has a negative impact on a conscious society. This very problem is frequently revealed in Tbilisi architecture, especially in living areas, as well as, in historical zones in cases of uncongenial interference. We've ventured to imagine an imitation of the space, resulted from this problem. It's the space, within which we feel ourselves in the constraint and comfortless way. It's the problem, that actually confines our freedom in the space.



დიალოგი, ფაშიზმი, ფული, არასწორი არქიტექტურა – ეს ის პრობლემებია, რაზეც არქიტექტორები, მოქანდაკეები და ფერწერები მუშაობდნენ. ამ შემთხვევაში მუშაობა არა ამ პრობლემის გადაჭრის გზებისაკენ სვლას, არამედ პრობლემის არსებობაზე საუბარს და ამ საუბრის სახელოვნებო სივრცეში გადმოტანას გულისხმობს. მათი ნამუშევრები რეაქციაა იმ პრობლემების მიმართ, რაც მათ გარშემო და ზოგადად სამყაროში არსებობს.

”აკადემია +” ის საგამოფენო სივრცეში, ერთ შემთხვევაში, თუ ქალაქის არასწორი არქიტექტურის, ქუჩების იმიტაცია ვიწრო, შემწიფებული ლაბირინთის სახითაა წარმოდგენილი, სხვა შემთხვევაში – 10-ლარიანი კუპიურებით ”მორთულ” სივრცეში აღმოჩნდებით, სადაც კიდევ ერთხელ შევეჯახებით დამრთავუნველ და თითქოს დაუძლეველ, კითხვის მსგავს სლოგანს (და სამწუხაროდ საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამახინჯებულ შეხედულებას) – “ფული ყველაფერია?”. სხვა შემთხვევაში ქართველისათვის



The dialog, Fascism, money, improper architecture - these are the problems, the architects, sculptors and painters are working at. The case doesn't comprise pointing the way to the problem solution, but making it public and transferring the talks into the art space. The authors artworks are the reaction against the surrounding problems, as well as, those ones, existing around the world, in general.

In an exhibition venue “Academia +”, the viewer, as a matter of fact, appears in an embarrassing labyrinth of the imitated city streets with the improper architecture, while, the other case is following the way to the space, “decorated” with the 10 GEL notes. Over again, the viewer runs into the suppressing and even invincible questioning slogan (and unfortunately, the disfigured viewpoint of the one part of the society) - Money is All-in-all?!


თითქოს შორს მდგომ საკითხს – ფაშიზმს ვეხლებით, მომხდარი ფაქტის კვალზე და გავლენებზე ვსაუბრობთ. კედელზე მიმაგრებულ ადამიანის სხეულის რენტგენულ გამოსახულებებს და მასზე მიშუქებულ, ზომით გაზვიადებულ ჰიტლერის გამოსახულებებს ვიდეო-პროექციას ვადვენებთ თვალს. ბოლოს კი ქართული სივრცისთვის მეტად აქტუალურ, დიალოგის პრობლემის ერთგვარ პრეზენტირებას ვხედავთ. აქ ორი, ერთმანეთის პარალელურად მდგარი, მოშიშვლებული ნერვებით მოხატული ადამიანის ბიუსტი, მასზე მორგებული ვიდეო – პროექცია და ფერწერული ნამუშევრებია წარმოდგენილი. ამოცანა – არსებულ პრობლემაზე “სახელოვნებო ენით” საუბარი თითოეულმა ავტორმა სხვადასხვა გზებისა და მეთოდების გამოყენებით სცადა. აქვე, აუცილებელია ითქვას, რომ მათი სამუშაო თემა ერთმანეთისგან განსხვავებულია მათივე პიროვნული ინტერესით თუ გამოცდილებითაა განპირობებული.

გურამ კაპანაძე, ხელოვნებათმცოდნეობის
მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი

The next case is Fascism, the remote issue for Georgians, and we are involved in talks, concerning the track and impact of the already happened fact. Here, we observe the X-ray images of a human, affixed onto the walls, being emanated with a video projection of an utterly large image of Hitler. And lastly, we reach the somewhat representation of the Dialog - the rather urgent problem for the Georgian space. Here we see the two, parallelly located busts of the human with the bared nerves paintings, on which the video projections and paintings are displayed.

Each of the authors made attempts of facing the task - declaring the problem with an “art language”, though by applying diverse ways and methods. It certainly has to be noted, that their subjects differ from each other and the diversity is caused by their personal interests or experience.

Guram Kapanadze, 1 year Master's degree student of Faculty of Restoration,
Art history and theory



პროექტის იდეის ავტორი და რედაქტორი: ნინო გუჯაბიძე
ტექსტი: გურამ კაპანაძე
თარგმანი: მაია ქოიავა-ყიფიანი
კომპიუტერული მომსახურება: ირინა ელიოზოვა
განსაკუთრებული მადლობა: ნოდარ ამაშუკელს, ამირან ანანიშვილს, კახა ტრაპაიძეს

Project idea author and Editor: Nino Gujabidze
Text: Guram Kapanadze
Translation: Maya Koyava-Kipiani
Computer service: Irina Eliozova
Special thanks to: Nodar Amashukeli, Amiran Ananiashvili, Kakha Trapaidze



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის ქ. № 22; 0108 თბილისი, საქართველო
Tbilisi State Academy of Arts № 22; Griboedov str. 0108 Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 293 69 59

Fax: (995 32) 293 46 65

www.artacademy.edu.ge